

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, საქონელი/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სხდომას თავმჯდომარეობდა სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თამაზ მოდებაძე – სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თენგიზ აბაზაძე	————	სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;
ლევან გოგოძე	————	სააგენტოს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;
ლელა მამულაშვილი	————	სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ავთანდილ ვასაძე	————	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
კახაბერ ჩხარტიშვილი	————	სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
ბესიკ დათუკიშვილი	————	სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.
ირინე გობეჯიშვილი	————	სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;
გულსუნდა ონიანი	————	სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: სააგენტოს დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე მიხეილ დუნდუა, მივლინებაში ყოფნის გამო.

დღის წესრიგი:

„დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის, „ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, ფოლიუმის მჟავის (CPV33600000; 33620000; 33621000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო პროცედურის განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

სააგენტომ, 2018 წლის 16 მაისს და 07 ივნისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერები ფოლიუმის მჟავის შესყიდვის მიზნით, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ ორგანიზაციას და, შესაბამისად, ტენდერებს მიენიჭა სტატუსი - „არ შედგა“. ამდენად, უნდა გამოცხადდეს ხელახალი ტენდერი.

შემდგომ, სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის საშუალებით, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის, „ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, ფოლიუმის მჟავის შესყიდვის თაობაზე სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი.

გამოსაცხადებელი ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა ბაზრის კვლევაში დაფიქსირებული ფასიდან შეადგენს 11 250 (თერთმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს. კვლების ბიჯი განისაზღვრა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რაც კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში თავსდება.

შემდგომ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით აღინიშნა შემდეგი: ვინაიდან სატენდერო დოკუმენტაციით მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოსაწოდებელი საქონელი, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების შეტანა დოკუმენტაციაში აუცილებელი არ არის - მთავარია, მოწოდებული იქნეს დოკუმენტაციის შესაბამისი სამკურნალო საშუალებები და ფასის 20%-ით ან მეტით კლება უმჯობესი იქნება, გამომდინარე იქიდან, რომ დაიზოგება საბიუჯეტო სახსრები.